პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 დეკემბერი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 284 (14584)

გუშინ საბჭოთა ხალხი უღრმესი მწუხარებით გამოეთხოვა **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს** — კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ვეტერანს, ვ. ი. ლენინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, გამოჩენილ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს და სოციალისტური შრომის გმირს.

მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

PRAVDA

6 დეკემბრის მოწინავე

8-4 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების შეხვედრა. მათ განიხილეს ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო საკითხები, აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ფართო წრის პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებასთან. ეს შეხვედრა დამაჯერებლად მოწმობს, რომ კიდევ უფრო ვითარდება მომძლე სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროების საკითხებს. ჩვენს კონტინენტზე მტკიცე მშვიდობისა და ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის პრობლემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა არ განმეორდეს ტრაგედია, რომელიც კონტინენტის ხალხს მილიონობით სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა საარსებო მნიშვნელობის პრობლემაა, რომელიც ეხება მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს. ითვალისწინებენ რა ამას, სოციალისტურმა ქვეყნებმა კოლექტიურად შეიმუშავეს წინადადებანი სრულიად ევროპის თანაბრის მომზადებისა და მოწყობის შესახებ, რომელზეც შეიძლება დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომ ევროპა გადაიქცეს მშვიდობისა და ყოველმხრივი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის კონტინენტად.

მოსკოვის შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სოციალისტური ქვეყნების წინადადებას სრულიად ევროპის თანბირის მოწვევის შესახებ ფართო მხარდაჭერას უწევს საერთაშორისო საზოგადოებრიობა. სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ იღვწიან რომ ევროპის მიწა-წყალზე ერთიერმეზობლობამ შეცვალოს დაძაბულობა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა ევროპის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთმოქმედების უნივერსალური ნორმა გახდეს, რომ ხალხთა მისწრაფება უშიშროებისა და პროგრესისადმი განხორციელდეს კონკრეტულ საქმეებით, მსოფლიოს ამ რაიონის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტით.

შეხვედრის მონაწილე სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოებასა და განვითარებას, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არსებული საზღვრების შეუვალობის პატივისცემის საფუძველზე. მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მოითხოვენ, რომ ყველა სახელმწიფომ დაამყაროს თანასწორუფლებიანი ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. საბოლოოდ, ურყევად ცნოს ევროპის არსებული საზღვრები, მათ შორის ოდერ-ნოისეს საზღვარი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანასკნელი არჩევნების შედეგად მოხდა შესამჩნევი ცვლილებანი პოლიტიკური ძალების განაწილებაში, შეიქმნა ახალი მთავრობა. ეს არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმ საზოგადოებრივი ტენდენციების ზრდის გამოხატულება, რომლებიც მიზნად ისახავენ დაამყარონ პოლიტიკური თანამშრომლობა და ურთიერთგაგება სახელმწიფოებს შორის. შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ის მომენტი, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. ამასთან მათ გამოხატეს ერთსულოვანი აზრი: მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არ წყდება რევანშიზმის საშიში გამოვლინებანი და ნეოფაშისტური ძალების აქტივიზაცია, რომელთა მიმართ არ შეიძლება შევანელოთ მუდმივი სიფხიზლე.

სოციალისტური ქვეყნები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება მთლიანად ემსახურებოდეს მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ისინი მოითხოვენ, რომ ამ ხელშეკრულებას შეუერთდეს რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო, რაც შეიძლება მალე დაამტკიცონ და ძალაში შვიდეს ხელშეკრულება, მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს გამოიჩინონ კეთილი ნება და მზადყოფნა პრაქტიკულად დაიწყონ ნამდვილი განიარაღება.

მოსკოვის შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ვიეტნამის მდგომარეობის საკითხი. ამერიკის იმპერიალისტები განაგრძობს აგრესიულ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ვიეტნამის ომი არა მარტო სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობას, არამედ კიდევაც ართულებს მთელ საერთაშორისო ვითარებას.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ და განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა დასახეს ვიეტნამის საკითხის მოწესრიგების რეალისტური პროგრამა, რომელიც ათი პუნქტისაგან შედგება. ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილებია ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა სატელიტებმა უპირობოდ და მთლიანად გაიყვანონ ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, შეიქმნას იქ კოალიციური მთავრობა.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა, როგორც ეს კვლავ დაადასტურეს ვიეტნამელმა მეგობრებმა საბჭოთა კავშირში ამასწინანდელი ვიზიტის დროს, შესაძლებელს ხდიან გმირმა ვიეტნამელმა ხალხმა მოიპოვოს დიდი გამარჯვებანი აგრესორებზე. მოსკოვის შეხვედრის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა თავიანთ განცხადებაში დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგრესიული პოლიტიკა, ის, რომ ამერიკის სამხედრო ხროვა მხეცურად უსწორდება სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიან მოსახლეობას. მათ განაცხადეს, რომ მომძლე ქვეყნებში, რომლებიც ეყრდნობიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საქმის ერთგული არიან, კვლავაც ყოველნაირად დაუჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, სანამ ბოლო არ მოეღება აგრესიულ ომს ვიეტნამის წინააღმდეგ. აგრესორთა ყოველგვარი გეგმები წარმატების მოპოვებისა ომის განგრძობის გზით განწირულია ჩასაფუშავად. ვიეტნამელი ხალხი იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, და გაიმარჯვებს!

მოსკოვის შეხვედრამ, რომელმაც დაადასტურა მის მონაწილეთა შიხედულებების ერთიანობა, ჩაიარა მეგობრობის, თანხმობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში. შეხვედრის მონაწილე ქვეყნებმა კვლავ გამოთქვეს სურვილი, რომ შემდგომშიც ითანამშრომონ ხოლმე საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, შეთანხმებულად იმოქმედონ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხი, სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა იწონებენ მოსკოვის შეხვედრის შედეგებს, მიაჩნიათ ისინი დიდმნიშვნელოვან წვლილად, სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მოქმედების ეფექტიანობის ამაღლებაში, ახალ ნაბიჯად ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის გზაზე.

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის დაკრძალვა

საზეიმო მიტინგი წითელ მოედანზე

საბჭოთა ხალხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები 6 დეკემბერს სამუდამოდ გამოეთხოვნენ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს — გამოჩენილ მხედართმთავარს, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს. ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის კ. ე. ვოროშილოვის სახელი უსაზღვროდ ძვირფასი და ახლობელია თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, მომძლე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის.

...დეკემბრის თოვლიანი დილა. ისევე როგორც გუშინ, ათასობით მოსკოველი ჩამწკრივებულა პუშკინის ქუჩაზე, რომელიც კავშირების სახლისაკენ მიდის. მდუმარედ, ქუდმოხდილნი ადიან ესენი სვეტებიანი დარბაზის მარმარილოს კიბეზე, სადაც მაღალ კვარცხლბეკზე, პალმებსა და ცოცხალ ყვავილებში დადგმულია კუბო კ. ე. ვოროშილოვის ცხედრით. მოსკოველებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები.

კ. ე. ვოროშილოვის კუბოსთან პირველ სპატიო ყარაულში დადგნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი **ა. ა. ეპიშევი**, საბჭოთა კავშირის მარშლები **მ. ვ. ზახაროვი, ი. ი. იაკუბოვსკი, პ. თ. ბატიცკი, ნ. ი. კრილოვი, კ. ს. მოსკალენკო, ი. ქ. ბაგრამიანი**, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი **ს. გ. გორშკოვი**, არმიის გენერლები **ს. ლ. სოკოლოვი, ს. ს. მარიახინი, ი. გ. პავლოვსკი**, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი **ა. ნ. კომაროვსკი**, ჯარის გვარეობათა მარშლები.

მათ ცვლიან სსრ კავშირის კომონავტი მფრინავები **ვ. თ. ბიკოვსკი, ბ. ვ. ვოლინოვი, ა. ა. ლეონოვი, პ. რ. პოპოვიჩი.**

ოქრის სამგლოვიარო მუსიკა. კუბოს გვერდით ჩაუარეს დედაქალაქის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების დელეგაციებმა, პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები.

გამოჩენილ მხედართმთავართან გამოსათხოვებლად მოვიდა უცხოეთის სახელმწიფოთა გენერლებისა და ოფიცრების დიდი ჯგუფი. ესენი არიან საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოთა სამხედრო ატაშეები. მთ წუთიერი დუმილით სცეს პატივი კ. ე. ვოროშილოვის ხსოვნას და კუბო გვირგვინით შეამკეს.

დარბაზში შემოდიან დელეგაციები:

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პალ ლაშონცი** (დელეგაციის მეთაური), უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი **ლაიოშ ცინეგე**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **იოზეფ სიპკა;**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთის მარშალი **მარიან სპიხალსკი** (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, პოლონეთის ჯარის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, დივიზიის გენერალი **იუზეფ ურბანოვიჩი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **იან პტახინსკი.**

სურათზე: პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს მიაქვთ კუბო კ. ე. ვოროშილოვის ნეშტით დაკრძალვის ადგილას.

ფოტო ბ. სავოსტიანოვის და ნ. სიტნიკოვისა.

საკვლესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

დელეგაციის წევრებმა მოიტანეს გვირგვინები, რომელთა ლენტებზე წარწერილია:

„კ. ე. ვოროშილოვს — დიდ რევოლუციონერსა და პოლონელი ხალხის მეგობარს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისაგან“.

„კ. ე. ვოროშილოვს — საბჭოთა ხალხის გამოჩენილ შვილს, უნგრელი ხალხის ერთგულ მეგობარს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა“.

გვირგვინებით შემკობის შემდეგ მომძლე ხალხთა წარმომადგენლები საპატიო ყარაულში დადგნენ.

სამგლოვიარო ვახტზე დგანან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ა. იასნოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. სპირიდონოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. პ. გიორგაძე.**

სვეტებიან დარბაზსა და ფოიეში ასობით გვირგვინია მოტანილი კომუნისტისა და მებრძოლის, იმ ადამიანის პატივსაცემად, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას.

გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. იცვლება საპატიო ყარაული.

13 საათია. უკანასკნელ საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი**, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები **ა. ა. გრეჩკო** და **ა. თ. გორკინი.**

სვეტებიან დარბაზში შესვლა წყდება. კუბოსთან რჩებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, კ. ე. ვოროშილოვის ნათესავები და ახლობლები.

დადგა, გამოთხოვების უკანასკნელი წუთები...

გაისმის სამგლოვიარო მარში და კუბო კ. ე. ვოროშილოვის ცხედრით გამოაქვთ სვეტებიანი დარბაზიდან და დგამენ საარტილერიო ლაფეტზე. კორტეჟი. მარქსის პროსპექტით. ოქტომბრის 50 წლისთავის მოედნისა და კრემლის გასასვლელის გავლით ხელა მიემართება წითელი მოედნისაკენ.

კუბოს მიჰყვებიან განსვენებულის ნათესავები და ახლობლები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, გენერლები და ადმირალები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

პროცესიის წინ მრავალი გვირგვინია. წითელი ატლასის პატარა ბალიშებზე მოაქვთ საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავები, სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“, ლენინის, წითელი დროშის, სუვოროვის ორდენები, მრავალი მედალი, რომლებითაც დაჯილდოებული იყო კ. ე. ვოროშილოვი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოების ჯილდოები.

წითელი მოედანი კიდით კიდემდე სავსეა ხალხით. მშრომელთა კოლონებს თან მოუტანიათ სამგლოვიარო ჩარჩოებში მოთავსებული კ. ე. ვოროშილოვის პორტრეტები.

მწყობრად დგანან ჯარის ნაწილები დახრილი საბრძოლო ალმებით.

ტრიბუნებზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, დიდაქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომლებიც სამშობლოს ერთგული შვილის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ.

აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

14 საათია. სამგლოვიარო პროცესია მავზოლეუმს გაუსწორდა, კუბო ლაფეტიდან გადაიქცა კვარცხლბეკზე.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი**, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

ტრიბუნაზე არიან აგრეთვე — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პალ ლაშონცი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთის მარშალი **მარიან სპიხალსკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარე **ოლდრიხ ჩერნიკი**, სხვა საზღვარგარეთელი სახელმწიფო მოღვაწენი.

იწყება კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მიტინგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი შეიარაღებული ძალები ეთხოვებიან კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ვეტერანს, ვ. ი. ლენინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, გამოჩენილ მხედართმთავარს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის მარშალს კლიმენტ ეფრემისძე ვოროშილოვს.

აღარ სცემს მგზნებარე გული რევოლუციონერისა, სამშობლოს სახელოვანი შვილისა, რომელმაც განვლო მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის დიდი გზა, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა ხალხის ინტერესებს, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას.

კლიმენტ ეფრემის-ძემ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო შრომითი ცხოვრება, შახტისა და ქარხნის მუშამ, კულაკის მოჯამაგირემ. მან შეიგრძნო მუშისა და გლეხის გაჭირვებული და დუხჭირი ცხოვრება ცარიზმის პირობებში. რუსეთის უდიდეს სამრეწველო რაიონში — დონბასში, ლუგანსკის პროლეტარიატის წრეში იგი ეზიარა მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, აქტიურად ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში. ჯერ კიდევ 1899 წელს იგი პირველად დააპატიმრეს, და მას შემდეგ განუწყვეტლივ სდევნიდა მეფის საიდუმლო პოლიცია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში, რომელშიც კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი შედის 1903 წელს, მწიფდება და იწრთობა მისი კლასობრივი სიძულვილი, ოქენს გამოცდილებასა და ცოდნას. მალე იგი ხდება ლუგანსკის ბოლშევიკთა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აქ 1905 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობს გაფიცვების, საბრძოლო რაზმიულების ორგანიზაციაში, ირჩევენ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ.

1906 წელს კლიმენტ ეფრემის-ძე პარტიის IV ყრილობის დელეგატია, ამ ყრილობაზე იგი პირველად შეხვდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, ამ დაუვიწყარმა შეხვედრამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ამხანაგ ვოროშილოვის მთელ შემდგომ გზაზე, მთელ მის ცხოვრებაზე და იგი განუხრელად ახორციელებდა ლენინურ გეზს, მტკიცედ იბრძოდა მენშევიკების, ტროცკისტების, ჩვენი პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ.

იოტა-ქვეშეთის, პატიმრობის, საპყრობილეებისა და გადასახლების მძიმე პირობებმა ვერ გატეხა ბოლშევიკის ნებისყოფა. დონბასსა და ბაქოში, ცარიცინსა და პეტერბურგში ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი შეუპოვრად ებრძვის ცარიზმს, რაზმავს და აკავშირებს პროლეტარებს. მუშაობს ჯარისკაცებში. თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იგი იყო პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი და ბოლშევიკური ფრაქციის ბიუროს წევრი. 1917 წლის მარტში ხდება ლუგანსკის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, ლუგანსკელ ბოლშევიკთა მანდატით მონაწილეობს სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციასა და ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობაში, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

(დასასრული მე-8 გვ.).

მოსკოვიდან გაემგზავრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები

4 დეკემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა შეხვედრის მონაწილენი:

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. კადარი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე **ჟ. ფაკი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. კომოჩინი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **კ. ერდეი;**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გომულკა**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ცირანკევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. კლიშკო**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ს. ენდრიხოვსკი.** (საკვლესი).

მიფრინავს „კოსმოსი-313“

1969 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-313“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკვლესი).

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში მოდიან საბჭოთა ადამიანები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, რაც შეიძლება მეტი შეიტყონ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. მუზეუმის არსებობის მანძილზე აქ რამდენმე ათეული მილიონი კაცი იყო, მათ შორის 85 ქვეყნის წარმომადგენლები.

2 დეკემბერს კაპიტალური რემონტისა და ექსპოზიციის განახლების შემდეგ კვლავ გაიღო მუზეუმის კარი მოსკოველებისა და დედაქალაქის სტუმრებისათვის. მუზეუმის მუშაკებმა ბევრი რამ გააკეთეს, რომ ექსპოზიცია უფრო გამომსახველობითი იყოს, რომ მისი შინაარსი შეესაბამებოდეს ისტორიული პარტიული მეცნიერების ახლანდელ დონეს.

დარბაზებში პირველადაა წარმოდგენილი 500-მდე ახალი ლენინური, პარტიული დოკუმენტი და სხვა მასალები.

ექსპოზიციას შეემატა დოკუმენტები, რომლებიც გვაცნობენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დამოკიდებულებას რუსეთისადმი, მომწიფებული რუსეთის რევოლუციისადმი, აგრეთვე მასალები, რომლებიც 1905 წლის ამბების მნიშვნელობას ასახავენ.

მუზეუმის ახალი ექსპონატები წინანდელზე უფრო მკაფიოდ გვაცნობენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლენინის წვლილს მარქსიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, გვიჩვენებენ ცარიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის პროლეტარიატის ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. ახალი დოკუმენტები უფრო ფართო წარმოდგენას გვიქმნიან ვლადიმერ ილიას-ძის მოღვაწეობის შესახებ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობისათვის, მის ბრძოლაზე რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმთან, საერთაშორისო პროლეტარიატის შეკავშირებისა და აღზრდისათვის რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებზე.

ექსპოზიციაში განსაკუთრებით გამოირჩევა ლენინის ცხოვრების, რევოლუციური და თეორიული მოღვაწეობის **მთავარი, ძირითადი ეტაპები,**

500 ახალი დოკუმენტი

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

მუზეუმი გაიხსნა, მაგრამ მის თანამშრომლებს ჯერ კიდევ ბევრი დაძაბული მუშაობა ელით. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის უნდა მოამზადონ 10 ახალი საგამოფენო დარბაზი მესამე სართულზე. ერთ-ერთ დარბაზში მოეწყობა გამოფენა თემაზე: „ვ. ი. ლენინი და თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა“. გათვალისწინებულია მთელ რიგ დარბაზებში მოამზადონ გამოფენები, რომლებიც მიეძღვნება ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, ულიანოვების ოჯახთან დაკავშირებულ სამახსოვრო ადგილებს და სხვ. ფართოდ იქნება წარმოდგენილი ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებზეც ვლადიმერ ილიას-ძეა აღბეჭდილი. (საკვლესის კორ.).

ერთსულოვნად მოიწონეს

ბათუმი. (საკ. კორ.). 4 დეკემბერს გაიმართა აჭარის ასს რესპუბლიკის აქტივის კრება, მიძღვნილი კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგებისადმი. მოხსენება „კოლეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის შედეგები და აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ყრილობის მონაწილემ **ალ. თხილაიშვილმა.** მან აქტივს მოუთხრო იმ დიდ ერთსულოვნებაზე, რომელიც იყო ყრილობის მუშაობის დღეებში.

ყრილობაზე ნათლად იყო წარმოდგენილი საკოლმეურნეო წყობილების დიდი გამარჯვება და ახალი სანმუშო წესდების ცხოველმყოფელობა, მისი ძალა საკოლმეურნეო ცხოვრების მძლავრი აყვავებისათვის.

— ყრილობამ, — აღნიშნა ალ. თხილაიშვილმა, — ერთხმად მიიღო კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება და აირჩია კოლმეურნეობათა საკავშირო ხაბჭო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს

□

პარტიული აქტივის კრება განიხილავს კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობის შედეგებს

◆

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ყრილობის დელეგატმა **ვლ. ბაჯელიძემ,** ხულოს რაიონის მოწინავე მეთამბაქოეს, ყრილობის დელეგატმა **იზოლდა ირემაძემ,** პარტიის შუახევის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. ხოზრევანიძემ,** ქედის რაიონის წარჩინებულმა მევენახემ, ყრილობის დელეგატმა **ა. ბერიძემ,** პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. ძნელაძემ,** პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. სოორიძემ** და სხვებმა.

ისინი ლაპარაკობდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებით მოპოვებულ წარმატებებზე და იმ გამარჯვებებზე, რაც უნდა მოგვიტანოს ახალი სანიმუშო წესდების განხორციელებამ. აჭარის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარელმა

□

მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს 36.792 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიურ გეგმას 3.600 ტონით აღემატება. სამუალოდ ჰექტარზე მიღებულია 5.317 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ეს სარეკორდო მოსავალია.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარელმა მეცხვარეებმა შესრულეს სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვის გეგმა. **აჭარელმა მეცხვარეებმა ვალდებულება აკისრეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 10.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.**

აჭარის აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის შედეგები. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას, ღირსეულად შეხვდება დიდი ლენინის სახელოვან იუბილეს.

□

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

ᲮᲐᲜᲓᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მ. თოფურიძის მოხსენება რესპუბლიკაში სახელმწიფო პენსიების დანიშნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელაბაიანის მოხსენება სოფლად მომუშავე მედიცინის მუშაკთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის კეთილსაყოფილებისათვის.

მმრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთ სხდომებზე პერიოდულად იხილავენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობის საკითხებს და სახალინო პენსიით უზრუნველყოფის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს.

მიმდინარე წლის 1 იანვისისათვის საქართველოში სოციალურად უზრუნველყოფილი იყო 810 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის — 438 ათასი სახელმწიფო პენსიონერი, 79 ათასი მრავალშვილიანი და მარჩენელი დედა, რომლებიც იღებენ ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას, 292 ათასი კოლმეურნე პენსიონერი, სოლო 800-მდე ღრმად მოხუცებული და ინვალიდი სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სახელმწიფო პენსიების დანიშნისა და გაცემის საქმეში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი დარღვევები.

სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში კვლავ არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო პენსიებს უნიშნავენ და გასაკვირველ კუთვნილზე მეტი ან ნაკლები ოდენობით.

მიმდინარე წლის 9 თვეში სოციალური უზრუნველყოფის 12 რაიონულ განყოფილებაში გამოვლინდა პენსიების გადიდებული გაცემის 150 შემთხვევა, რის შედეგად გაიცა საჭიროზე მეტი 20.345 მანეთი, 78 პენსიონერს კი დაეკლეს 8.952 მანეთი.

წითელწყაროს რაიონში 21 შემთხვევაში შედეგად გაიცა 6.672 მანეთი, ლენინუთის რაიონში 12 შემთხვევაში — 3.102 მანეთი, ხაშურის რაიონში 24 შემთხვევაში — 2.258 მანეთი, სოფლაღის რაიონში 8 შემთხვევაში — 2.024 მანეთი და სხვ.

(ეუდი მუშაობის გამო მთლიანად შეიცვალა ბარიდოურად ახალი ხელმძღვანელი ბ. ბერიძე, პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. ძნელაძემ,** პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. სოორიძემ** და სხვებმა.

ისინი ლაპარაკობდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებით მოპოვებულ წარმატებებზე და იმ გამარჯვებებზე, რაც უნდა მოგვიტანოს ახალი სანიმუშო წესდების განხორციელებამ. აჭარის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარელმა

□

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ

◆

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ყრილობის დელეგატმა **ვლ. ბაჯელიძემ,** ხულოს რაიონის მოწინავე მეთამბაქოეს, ყრილობის დელეგატმა **იზოლდა ირემაძემ,** პარტიის შუახევის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. ხოზრევანიძემ,** ქედის რაიონის წარჩინებულმა მევენახემ, ყრილობის დელეგატმა **ა. ბერიძემ,** პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. ძნელაძემ,** პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. სოორიძემ** და სხვებმა.

ისინი ლაპარაკობდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებით მოპოვებულ წარმატებებზე და იმ გამარჯვებებზე, რაც უნდა მოგვიტანოს ახალი სანიმუშო წესდების განხორციელებამ. აჭარის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარელმა

□

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲮᲐᲜᲓᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მ. თოფურიძის მოხსენება რესპუბლიკაში სახელმწიფო პენსიების დანიშნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელაბაიანის მოხსენება სოფლად მომუშავე მედიცინის მუშაკთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის კეთილსაყოფილებისათვის.

მმრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთ სხდომებზე პერიოდულად იხილავენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობის საკითხებს და სახალინო პენსიით უზრუნველყოფის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს.

მიმდინარე წლის 1 იანვისისათვის საქართველოში სოციალურად უზრუნველყოფილი იყო 810 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის — 438 ათასი სახელმწიფო პენსიონერი, 79 ათასი მრავალშვილიანი და მარჩენელი დედა, რომლებიც იღებენ ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას, 292 ათასი კოლმეურნე პენსიონერი, სოლო 800-მდე ღრმად მოხუცებული და ინვალიდი სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სახელმწიფო პენსიების დანიშნისა და გაცემის საქმეში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი დარღვევები.

სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში კვლავ არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო პენსიებს უნიშნავენ და გასაკვირველ კუთვნილზე მეტი ან ნაკლები ოდენობით.

მიმდინარე წლის 9 თვეში სოციალური უზრუნველყოფის 12 რაიონულ განყოფილებაში გამოვლინდა პენსიების გადიდებული გაცემის 150 შემთხვევა, რის შედეგად გაიცა საჭიროზე მეტი 20.345 მანეთი, 78 პენსიონერს კი დაეკლეს 8.952 მანეთი.

წითელწყაროს რაიონში 21 შემთხვევაში შედეგად გაიცა 6.672 მანეთი, ლენინუთის რაიონში 12 შემთხვევაში — 3.102 მანეთი, ხაშურის რაიონში 24 შემთხვევაში — 2.258 მანეთი, სოფლაღის რაიონში 8 შემთხვევაში — 2.024 მანეთი და სხვ.

(ეუდი მუშაობის გამო მთლიანად შეიცვალა ბარიდოურად ახალი ხელმძღვანელი, ამინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კონდრატე ივანეს-ძე **სახაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ჯ. Ნ. ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲢᲧᲣᲝᲜ მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კონდრატე ივანეს-ძე **სახაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ზ. Ნ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს ინსპექციის უფროსი ამხ. ზურაბ ნიკოლოზის-ძე **მახარაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ა. Ა. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ; პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. აკაკი ალექსის-ძე **ფანცულაია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ Ვ. Ვ. ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ვერა ვარდენის ასული **ბარდაველიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. 3. 3. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ვლადიმერის-ძე **ყიფიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ი. Დ. ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ილია დიმიტრისძე **გიორგობიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ᲥᲝᲩᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

თბილისი,
1969 წლის 4 დეკემბერი.

ᲓᲚᲝᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲧᲐᲚᲒ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ

ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲕᲘᲢᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 4 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

ბოროტმოქმედება სონგმეში სრულებითაც არ არის ცალკეული შემთხვევა ან ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე სამხედრო მოსამსახურის საქმე, რომლებმაც ომის ამერიკული კანონები დაარღვიეს. ასეთი იყო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლის ᲓᲘᲜ ᲑᲐ ᲗᲘᲜᲘს გამოსვლის ლეიტმოტივი ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი მოლაპარაკების 45-ე პლენარულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა პარიზის საერთაშორისო კონფერენციათა სახლში.

ბა თხიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქმე ეხება ათასი დანაშაულიდან ერთს, რომლებსაც სამხრეთ ვიეტნამში სჩადიოდნენ და სჩადიან ამერიკელი აგრესორები, ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება პოლიტიკისა, რომელიც დაიწყო ჯონსონის ადმინისტრაციის დროს და გააძლიერა ახლა ნიქსონის ადმინისტრაციამ“.

მან აღნიშნა, რომ ამერიკელები სამხრეთ ვიეტნამის სოფლებს სპობენ თითქმის მთელ ქვეყანაში, მაგალითად, კუანგნამის პროვინციაში 487 დასახლებული პუნქტიდან თითქმის მთლიანად მოსპეს 258. საიგონის, დანანგისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის მიდამოებში, აგრეთვე მდინარე მეკონგის დელტაში გადაბუგეს მთელი რაიონები.

ამის გამო, რომ ამერიკელები ფართოდ იყენებენ სამხრეთ ვიეტნამში ქიმიურ ნივთიერებებსა და მომწამლველ გაზებს, თქვა შემდეგ დინ ბა თხიმ, ამ ბოლო ათი თვის მანძილზე მოიწამლა 285 ათასზე მეტი კაცი, აქედან 500 კაცი დაიღუპა. ამავე დროს მთლიანად მოსპეს 905 ათას ჰექტარზე მეტი ნათესები და ხეხილის ბაღები.

„ᲐᲣᲠᲐᲪᲮᲚᲔᲚᲘᲐ დანაშაული, რომელსაც ამერიკელი აგრესორები სჩადიან სამხრეთ ვიეტნამში, — თქვა დასასრულ დინ ბა თხიმ. — ისინი ამხელენ ამერიკის მთავრობის ყალბ მტკიცებას, თითქოს შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამში იცავს სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თავისუფლებასა და თვითგამორკვევის უფლებებს“.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მინისტრმა სუან თხუუმ თავის დღევანდელ გამოსვლაში განაცხადა, რომ ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი მოლაპარაკება უკვე მართავს 45-ე სხდომას „და თათბირის ამდენი თვის მუშაობის შემდეგ არც ერთი საკითხი არ მოწესრიგებულა“.

რა არის ამგვარი მდგომარეობის მიზეზი? — იკითხა სუან თხუემ. საქმე ის არის, რომ ნიქსონის ადმინისტრაციას დღემდე უარი არ უთქვამს აგრესიულ მისწრაფებებზე ვიეტნამში და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას ადგას სამხრეთვიეტნამში, რათა დაამკვიდროს ჩვენი ქვეყნის გათიშვა.

„თუ ნიქსონის ადმინისტრაცია აკლავდა ჯიუტად განაგრძობს აგრესიისა და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას, ხაზი გაუსვა დასასრულ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, — ვიეტნამელი ხალხისათვის“ არა რჩება სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მტკიცედ იბრძოლოს მსხვერპლისა და გაჭირვების მიუხედავად, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებისათვის“.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 5 დეკემბერი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო თეორიულმა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გამართა პრაღაში ეურნალმᲐ „პრობლემი მირა ი სოციალიზმამ“ ხელი შეუწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობის განმტკიცებასა და აქტიურ აზრთა გაზიარებას მათ შორის, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა კონფერენციაზე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვერნერ ლამბერცმა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

კონფერენციამ ცხადყო, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება ხელს შეუწყობს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძალების გაერთიანებასა და შეკავშირებას, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ლამბერცმა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 დეკემბერი (საკდესი). ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ამ განახლეთ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐ.

პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც 3 დეკემბერს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ებრაელ ამერიკელ შეერთებული შტატების მისიაში, გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მუდმივ წარმომადგენელთა აზრით ვითარება ახლო აღმოსავლეთის რაიონში სულ უფრო ხერხიოზული ხდება და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. მათ დაადასტურეს, რომ მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ მყარი მშვიდობის აღდგენას ახლო აღმოსავლეთში იმით, რომ მხარს დაუჭერენ უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას, რომლის ყველა ნაწილი უნდა განხორციელდეს.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან თავიანთ შეხვედრებზე გაანიხილონ კონკრეტული საკითხები, რომლებიც ეხება ამ რეზოლუციას მთლიანად განხორციელებას ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მთელი რაიონის მიმართ.

მუდმივი წარმომადგენლები ითვალისწინებენ შეთანხმებულ მიზნებს და მზად არიან ხელი შეუწყონ გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, რაც შეიძლება მალე აღადგინოს თავისი მისია უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად.

□

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის მიერ მოწვეული სამი დღის „კონფერენცია შიმშილობის საკითხზე“ ისე როდი დამთავრდა, როგორც მისმა ორგანიზატორებმა ჩაიფიქრეს. კონფერენციის მონაწილეებმა — ლარიბების წარმომადგენლების ჯგუფმა, მოაწყო მდგომარე გაფიცვა სასტუმრო „შერატონ-პარკში“, სადაც მიმდინარეობდა თათბირი. გაფიცვა მოეწყო ამის წინააღმდეგ პროტესტის წინაშე, რომ მთავრობა არ მიმართავს ჯეროვან ღონისძიებებს ამერიკის ამ უმწყვალესი სოციალური პრობლემის გადასაწყვეტად.

თათბირის მონაწილეებმა მთავრობას მოსთხოვეს სიტყვას სამეგ მოპყეეს. მიღებულ განცხადებაში ისინი დაინებენ მოითხოვენ, რომ მთავრობამ, დამშეულთა მდგომარეობა გამოაცხადოს საგანგებო პრობლემად, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. მათ მოითხოვეს აგრეთვე დაუწესონ ყოველწლიური გარანტირებული შემოსავლის მინიმუმი თვითეული ამერიკელი ოჯახისათვის, რაც მათ შიმშილს აიცილებს თავიდან.

თათბირის მონაწილეთა ჯგუფი აპირებს შეხვდეს პრეზიდენტს, რათა კვლავ გამოთქვას შეშფოთება შეერთებულ შტატებში დამშეულთა ბედისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲚᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების ხმარებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი იძულებული იყო ამ პრობლემისათვის სპეციალური სიტყვა მიეძღვნა. გუბერნატორთა კონფერენციის წინაშე გამოსვლისას ნიქსონმა აღიარა, რომ „ჩვენს ქვეყანაში არსებულ უსამართლო პრობლემას დაემატა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ახალი პრობლემა“. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მილიონობით ამერიკელის ავადმყოფური მიდრეკილება ნარკოტიკებისადმი „ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ეროვნული პრობლემა გახდა, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას ეხება“.

თავის გამოსვლაში ნიქსონმა მოიყვანა საგანგებო სტატისტიკა, რომელიც მოწმობს ნარკოტიკების ხმარების საგანგაშო მასშტაბებს. ყველაზე მეტად გამოანგარიშებით, თქვა მან, 8 მილიონი ამერიკელი ეწევა მარიხუანას, 180 ათასამდე კაცი იტაბნება ჰეროინის გამოყენების შედეგად ᲓᲐᲜᲬᲧᲣᲠᲜᲘᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲠᲗᲠᲘᲗ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის დაკრძალვა

(დასასრული)

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1917 წლის ნოემბრის დღეებში პარტიამ იგი გაგზავნა რევოლუციური პეტროგრადის კომისრად, შემდეგ კი ფელიქს ძერჟინსკისთან ერთად ახდომს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის პასუხსაგებ სამუშაოს.

სამუდამოდ ვშორდებით რა დღეს ჩვენს მეგობარს ამხანაგ ვოროშილოვს, ჩვენ ვეთხოვებით სამოქალაქო ომის სახელოვან გმირს, წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ ორგანიზატორს, ადამიანს, რომელთანაც დაკავშირებულია წითელი არმიის ისტორიის ბრწყინვალე, დაუვიწყარი ფურცლები. პარტიზანულ რაზმებში, რომლებიც უკოინის ათავისუფლებენ ინტერვენტებისაგან, ცარიცინის გმირულ დაცვაში, ლენინგრადულ პირველ ცხენოსან არმიაში, პარტიის X ყრილობის დელეგატთა — კრონშტადტის ამბოხების ჩახშობის მონაწილეთა რიგებში იწრთობოდა მებრძოლი მეთაური, ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა მხედართმთავარი. ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეს კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი მოახმარა. 13 წლის განმავლობაში იყო იგი თავდაცვის სახალხო კომისრის პოსტზე. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

სამამულო ომის მრისხანე წლებში კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი სარდლობის მთავარი მანაკის წარმომადგენელი მთელ რიგ ფრონტებზე. იგი უშუალოდ მონაწილეობდა საბჭოთა ხალხის დიდ ბრძოლაში ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, მტრის განადგურების ორგანიზაციაში.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილ კლიმენტ ეფრემის-ძეს ჰქონდა ჯარის ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი, გამორჩეულ პირად მამაცობით, დიდი ადამიანური გულითადობით. ბევრი ძალ-ღონე მოახმარა რა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნისა და განმტკიცების საქმეს, მას უკანასკნელ დღეებამდე არ გაუწყვეტია მჭიდრო კავშირი შეიარაღებულ ძალებთან.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოტაცა დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1940-1953 წლებში კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი მუშაობს ჯერ სახალხო კომისართა საბჭოს, შემდეგ კი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1953 წელს მას ირჩევენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, 1960 წლიდან კი გარდაცვლამდე იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს კლიმენტ ეფრემის-ძე დაუღალავად ახმარდა თავის ძალ-ღონეს და ენერგიას, დიდ ცოდნის, მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი მრავალმხრივი საქმიანობა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა განუყრელად დაუკავშირა ლენინურ კომუნისტურ პარტიას. პარტიის X ყრილობის შემდეგ იგი იყო ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1926-1960 წლებში — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. და ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა პარტია, იგი მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა მის საქმეს.

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის გზა წითელგვარდიელი და პარტიზანული რაზმების მეთაურიდან საბჭოთა კავშირის მარშალამდე, მუშიდან და ლიტაქვეშელიდან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრამდე და ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელამდე — ეს არის რევოლუციონერისა და კომუნისტის დიდი და სახელოვანი გზა.

ამხანაგ ვოროშილოვის დიდ დამსახურებას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა სამშობლომ. იგი არის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, დაჯილდოებულია რვა ლენინის ორდენით და სსრ კავშირის ბევრი სხვა ორდენითა და მედლით.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კლიმენტ ეფრემის-ძე წერდა: „არ მწამს ბედისწერა, მაგრამ მაღლობელი ვარ ბედისა იმისათვის, რომ წლად მხედა სწორედ ის გზა, რომელიც მე განვლე, არა არის რა იმაზე უდიდესი ბედნიერება, რომ იყო მუშაკაცი და რევოლუციის ჯარისკაცი!“.

ასეთად დარჩება იგი მარად მილიონობით კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის მეხსიერებაში, საბჭოთა მეომრების სამეგობროში, რომლებიც დგანან სოციალისტური სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების სადარაჯოზე.

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის, გამოჩენილი პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის მეცენატ სახელოვანი ცხოვრება არის ღირსეული მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიბრძოლოთ ჩვენი ლენინური პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

* * *

მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისა და დედაქალაქის მშრომელთა სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. გრიშინი.**

ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

ამხანაგებო!

მოსკოვის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი მწუხარებით, სამუდამოდ ეთხოვებიან დღეს ვ. ი. ლენინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, კომუნისტთა სახელოვანი ლენინური გვარდიის წარმომადგენელს, გამოჩენილ პარტიულ, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის მარშალ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს.

მოსკოველები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერგად ეცნობდნენ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს, რომელმაც მთელი გმირული ცხოვრება და მჩქეფარე ენერგია მოახმარა მუშათა კლასს, ყველა მშრომელის საქმეს, ბრძოლას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ასეთად დარჩება იგი მარად მილიონობით კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის მეხსიერებაში, საბჭოთა მეომრების სამეგობროში, რომლებიც დგანან სოციალისტური სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების სადარაჯოზე.

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი, გამოჩენილი პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის მეცენატ სახელოვანი ცხოვრება არის ღირსეული მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიბრძოლოთ ჩვენი ლენინური პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

* * *

მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისა და დედაქალაქის მშრომელთა სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ნ. პეტროვსკი.**

ბ. ნ. პეტროვსკის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

გარდაცვალა გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავარი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვი.**

წავიდა ჩვენგან მგზნებარე რევოლუციონერი, ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი, სამოქალაქო ომის საბელგანთქმული გმირი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული მათი გმირული ისტორიის ბევრი სახელოვანი ფურცელი.

მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა აძღანაგმა **ვოროშილოვმა** მოახმარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სამსახურს, სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა საქმეს, მისი თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებას.

კლიმენტ ეფრემის-ძე თებერვლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციების აქტიური მონაწილეა. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და ომიანობის წლებში უკრაინაში და ცარიცინთან ახალგაზრდა წითელი არმიის რაზმები ამხანაგ **ვოროშილოვის** ხელმძღვანელობით წარმატებით ანადგურებდნენ საბჭოეთის რესპუბლიკის მტრებს. იგი იყო ლენინდარული პირველი ცხენოსანი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი და გამოირჩეოდა უსაზღვრო პირადი მამაცობით.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვი** მეთაურობდა მოსკოვის სახედრო ოლქის ჯარებს. 1925 წელს იგი იყო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი. იყო რა ამ პასუხსაგებ პოსტზე 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებდა ლენინის ანდერძს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ, მთელ ძალ-ღონეს, მთელ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა წითელი არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის მშენებლობას.

დიდი სამამულო ომის მრისხანე ქამს საბჭოთა კავშირის მარშალი **ვოროშილოვი** იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და შედიოდა უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარ-ბანაკის შემადგენლობაში. ასრულებდა რა პარტიისა და მთავრობის დავალებებს, იგი იყო გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის ბევრ დიდმნიშვნელოვან ფრონტებზე, ალფერთოვანებდა საბჭოთა მეომრებს მტრის გასანადგურებლად, ღირსეული წვლილი შეიტანა აგრესორზე გამარჯვებაში.

ომის შემდგომ წლებშიც **ვოროშილოვი** მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან, დიდად ზრუნავდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებისათვის.

ყველა, ვინც კი შეხვედრია კლიმენტ ეფრემის-ძეს და მასთან ერთად შუმუშავია, არ დავიწყებს მას როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს, ენერგიულ და მომთხოვნ ხელმძღვანელს, ჭეშმარიტ ერთგულ და გულითადად ამხანაგს. ამან მოუზვეჭა საბჭოთა ხალხს, არმიისა და ფლოტის მეომართა სიყვარული და გულწრფელი პატივისცემა.

ამხანაგებო!

ამ მწუხარების ჟამს საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხრიან დიდების შარავანდედით მოსილ სამხედრო დროშებს პარტიისა და ხალხის ერგული შვილის, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწისა და მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშალის კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვის** ცხედრის წინაშე.

სამშობლოს დაცვის საქმეს, რომელსაც თავდადებით ემსახურებოდა და მოაზმარა მთელი დაკისი ცხოვრება საბჭოთა კავშირის მარშალმა **ვოროშილოვმა,** განეგრძობთ თავდადებით და განუხრელად, როგორც გვიანდერძა ლენინმა.

ბ. ბ. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ვიტირებთ ერთგულ ლენინელ, ერთგულ კომუნისტ, ერთგულ ადამიანს, ერთგულ ამხანაგს, ერთგულ ოჯახის კეთილ მამას, ერთგულ ბაბუას, ერთგულ ბიძაშვილს, ერთგულ ნათესავს, ერთგულ ნაცოლარს, ერთგულ ძმას, ერთგულ ამხანაგს, ერთგულ ადამიანს.

ეს ასეთი ადამიანი ... ეს ასეთი ... ეს ... ეს ... ეს

ღვაწლმოსილი იუბილარი



პროფესორ ალ. გრიგოლიას დაბადების 90 წლისთავი

მედიცინის დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ალექსანდრე ლუკას-ძე გრიგოლიას 90 წელი შეუსრულდა.

სასიამოვნოა ის ამბავი, რომ იგი დღესაც განაგრძობს მუშაობას და ისევ ხელმძღვანელობს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალს აფხაზეთში.

ალ. გრიგოლია დაიბადა 1879 წელს ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში, სოფელ სამილალაში.

უმაღლესი სამედიცინო განათლება მან რუსეთში მიიღო, ტომსკის უნივერსიტეტში. პროფესორი გრიგოლია აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც გარიცხეს უნივერსიტეტიდან. 1910 წელს მან მაინც შეძლო დაემთავრებინა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, რის შემდეგ მუშაობა დაიწყო სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში.

1912 წელს საექიმო მოღვაწეობას იწყებს სოხუმში და აქვს საკუთარი საავადმყოფო, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

პროფესორ ალ. გრიგოლიას მოღვაწეობას უფრო მეტი გასაქანი მიეცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1924 წელს აფხაზეთში დაარსდა წითელი ჯვრის საზოგადოება, სადაც იგი თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა.

კურორტოლოგიის დარგში მისი მოღვაწეობა 1926 წლიდან იწყება.

ალ. გრიგოლიას დიდი ფასული მიუძღვის აფხაზეთში საკურორტო საქმის ორგანიზაციის მხრივ, სხვადასხვა საკურორტო ადგილისა და მინერალური წყლების გამოვლენების საქმეში. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება.

1938 წლიდან ა. გრიგოლია მუშაობდა აფხაზეთში კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორად, სადაც იგი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს. დიდ მონაწილეობას იღებს კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

იუბილარის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა უმრავლესობა აფხაზეთში საკურორტო საქმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ეხება.

პროფესორი ალ. გრიგოლია სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. 1948 წლიდან დღემდე იგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უცვლელი დეპუტატია.

ჩვენს სასიქადულო მეცნიერს 1957 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ვუსურვოთ ჩვენს იუბილარს, ძვირფას ალექსანდრეს კვლავ ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლე.

პროფესორი
დ. ჯავახიშვილი.

ილიჩის ნათურები მწყემსთა გინეგში

ყაზბეგი. (საკ. კორ.). წლითიწლობით უმჯობესდება მწყემსთა შრომისა და დასვენების პირობები. მარტო გორისციხის ალ. ყაზბეგის სახელობის კოლმეურნეობამ წლეულს ზამთრის საძოვრებზე ააგო მწყემსთა ორი საცხოვრებელი სახლი, სამი ფარეხი და 12 საბანაკენი. დიდი სამუშაოები შესრულდა სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებშიც. ამ დღეებში ნოღაეთის საძოვრებზე შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს მეცხვარეებმა — დამთავრდა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა სნოს, სიონის, გორისციხის, ყაზბეგის და სხვა კოლმეურნეობების მწყემსთა ბინებში. მეცხვარეები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ღირსშესანიშნავ ამბავს.

ახლა უკვე მწყემსთა ზამთრის 20 ბინაში „შკაფეს ილიჩის ნათურები, მალე ელექტრობა იქნება რაიონის კოლმეურნეობათა ყველა ბინაში, რაც საშუალებას მოგვცემს საცხოვრებელ სახლებსა და ფერმებში დავდგათ რადიომიმღები, ტელევიზორი. ამიერიდან ცხრის პარსეა და სხვა შრომატევადი სამუშაოები ელექტროენერგიით შესრულდება.

„ქუთაისი“ ქუჩას სამშობლოსაკენ იღებს

ბელგრადი. ადრიატიკის ზღვის ტალღების ტყლაშუნი, ხომალდის კორპუსზე გატეხილი ტრადიციული შამპანური ბოთლის წკარუნი, შეერბილთა ტაში... ასე გაიცილეს სალონის გემთსაშენის მუშებმა ხანგრძლივ სანავიგაციო ცხოვრებაში მეცამეტე ტანკერი სერიიდან, რომელიც სსრ კავშირის შეკვეთით შენდება.

გემ „ქუთაისის“ წყალწყვეა 20.800 ტონა, სიგრძე აქვს 186 მეტრი, ხოლო სიგანე — 24 მეტრი. „ქუთაისს“ შეუძლია განვითაროს სიჩქარე 17 კვანძი საათში.

„ბალეტი ყინულზე“ მკაფიო, უთამგეჭდავი სპექტაკლი

თბილისში უკრაინული მხატვრულ-სპორტული ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ გასტროლების გამო

ბალეტი ყინულზე... რა არის ეს? თეატრალიზებული ფიგურული ციგურაობა ყინულზე თუ ნამდვილი ბალეტი თავისი დრამატურგიით, ქორეოგრაფიით — საერთოდ ყოველივე ამით, რასაც ჩვეულებრივ ვუწოდებთ „საბალეტო სპექტაკლს“? სტანისლავსკი ამბობდა, რომ ბალეტი და დრამა ანტიპოდები არიან თავიანთი გამომსახველობითი საშუალებებით. სხვა პლასტიკა, სხვა გრაცია, სხვა რიტმი, ეფექტი, მიმოსვლა, მოძრაობა, ყველაფერი, ყველაფერი სხვანაირი! ყინულზე ბალეტში როგორღაა? შეიძლება, რომ ფიგურული ციგურაობა ავიდეს ჭეშმარიტი ხელოვნების მწვერვალებამდე, ალპარაკედეს მხატვრული სახეების მღელვარე ენით? სხვა საქმეა ვირტუოზულად დამუშავებული ვარჯიში და სულ სხვა საქმეა ცეკვა — სწორედ ის, რაც ბალეტის არსს შეადგენს.

რას უჩვენებენ თბილისელებს სპორტის სასახლეში მათი მეგობრები მხატვრულ-სპორტულ ანსამბლ „ბალეტიდან ყინულზე“?

წარმოდგენის სახელწოდებაა: რევიუ „გაზაფხულის ზღაპარი“. ჩვენს წინაშეა „თოვლის ქალი“ ა. ოსტროვსკის ნაწარმოების მოტივების მიხედვით (მუსიკა კ. დომინიჩინისა). ქორეოგრაფია თავისებურია, რიტმიკა განსაკუთრებული, ყველაფერი, ყველაფერი სხვანაირია. დიახ, ეს უთუოდ ბალეტია! ცეკვაში გამოსახულია გრძნობებიც, ხასიათებიც და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წარმატაცი ზღაპრის გმირების ინდივიდუალობა.

მინდა აღვნიშნო ნიჭი და მაღალი პროფესიული ოსტატობა სპეტაკლის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დამდგმელის, ჩვენი თანამემამულის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ვრონსკისა (ნადირაძე). მისი ქორეოგრაფია მეტად საინტერესოა. შესანიშავია ფერხული, რომელიც გვხიბლავს ცეკვის სილამაზით, თავისი ხაოცარი პლასტიკურობით.

გამომგონებლობით, მგზნებარე ტემპერამენტით აღნიშნულია დადგმა, ცეკვებისა — „სამცხენა ეტლი“, „გრიგალი“, „ქარები“, სრულდება ისინი გატაცებით, მკვირცხლად.

ბევრი უმუშავნიათ კოსტიუმების მხატვრებს ე. გაკებუშსა და ა. გორელიკს. მათ აღუდგენიათ ძველებური რუსული კოსტიუმი, რომელიც ფორმების, ხაზების სიმდიდრითა და სხვადასხვაგვარობით, ქარგულობით ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოში.

ხელოვნებისა და სპორტის მოყვარულთა სახელით მინდა მივულოცო ჩვენს უკრაინელ მეგობრებს საბალეტო სპექტაკლის შექმნა. უეჭველია ამას მოჰყვება შემდგომი ნამუშევრები, ძიება და შემოქმედებითი მიგნებანი.

პროგრამის მეორე განყოფილებაა ჩვეულებრივი კონცერტი. კონცერტში არის ცალკეული მკაფიო, საინტერესო ნომრები, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ვერ აღელვებენ მაყურებელს, გულგრილს ტოვებენ მას.

მაგალითად, „ესპანური“, „აღმოსავლური“ ცეკვების, სურათების „ბოშების ბანაკის“, „იაპონური ვაზის“ ქორეოგრაფია მთლად ძველ საესტრადო კანონებს მისდევს.

სამაგიეროდ სცენაში „ხალამოს ბარი“ იგრძნობა მწვავე სატირული აზრი, რომელიც დასცინის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის „დასავლურ“ გატაცებას. მისი ქორეოგრაფია გადაწყვეტილია მკვირცხილი გროტესკის, ტრიუკების მთელი კასკადის ფორმით. შემსრულებლებს გამოუჩენიათ აქ დახვეწილი ტექნიკა, არტისტიზმი.

მაყურებელს სიხარულს ანიჭებს, ეროვნული კოლორიტით ხიბლავს „უკრაინული სიუიტა“. სიუიტის ცეკვები სრულდება შთაგონებით, გატაცებით, მგზნებარედ. „გაზაფხულის ზღაპრის“ ფინალი დადგმულია კოსმოსური ფეერიის ფორმით: სიცოცხლე, ახალგაზრდობის, სილამაზის პარადი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის დემონსტრაცია.

ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ მაღალი პროფესიული, შემოქმედებითი კულტურა მასთან შეხვედრას სასიხარულოს და უაღრესად შთამბეჭდავს ხდის. ჩვენ გვახარებს შეხვედრა შესანიშნავ კოლექტივთან და ვუსურვებთ მის მონაწილეებს ახალ წარმატებებს და შემდგომ სცენიურ გამარჯვებებს.

რევაზ მაჩაიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.



სურათებზე: მაცხნიდან — სცენები სპექტაკლიდან **„გაზაფხულის ზღაპარი“**; ზემოთ — **გალეტის** სოლისტები, სპორტის ოსტატები **ლ. ორეხოვა** და **ვ. ზახაროვი** ასრულებენ ცეკვას **„ვარსკვლავების სამყაროში“.**

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

პრიზი — კიროვაბადის „დინამოს“

5 დეკემბერს თბილისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ფინალური მატჩი ჰქონდათ კიროვაბადისა და ბათუმის დინამოელებს. როცა ძირითადი დრო ამოწურა, ტაბლოზე იყო ციფრები 1:1. ეს ანგარიში არც დამატებით დროში შეცვლილა, დაინიშნა ხუთ-ხუთი პენალტი. კიროვაბადელებმა ხუთივე გაიტანეს, ბათუმელებმა — ოთხი.

მატჩი მოიგო კიროვაბადის „დინამომ“ 6:5 და პრიზი მოიპოვა.

ვინ მოიპოვებს „იზვესტიის“ პრიზს?

მოსკოვში ჰოკეისტთა ექვსი უძლიერესი ნაკრები განაგრძობს ბრძოლას „იზვესტიის“ პრიზისათვის.

5 დეკემბერს შედგა მორიგი შეხვედრები. საინტერესო გამოდგა შვეიცარიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა. წინ იყვნენ შვედები 3:0, მაგრამ შემდეგ გერმანელმა ჰოკეისტებმა 5 შაიბა გიტანეს და გაიმარჯვეს 5:3.

მატჩი კანადისა და ფინეთის ნაკრებთა შორის მოიგეს კანადელებმა 10:1.

გუშინ გაიმართა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. საბჭოთა ჰოკეისტები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:2. სსრ კავშირის ნაკრები ლიდერობას ინარჩუნებს.

რვა მეოთხედფინალისტი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის უძლესგზის მფლობელი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდი გამოეთიშა მომდინარე ეთამაშებას. „რეალმა“ მეორე მეოთხედფინალური მატჩიც წააგო 2:3 ბელგიის „სტანდარდთან“.

ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდნენ — იტალიის „ფიორენტინა“, ინგლისის „ლიდსი“, თურქეთის „გალატასარაი“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ფორვერტსი“, ჰოლანდიის „ფეიენორდი“, შოტლანდიის „სელტიკი“, პოლონეთის „ლეგია“ და ბელგიის „სტანდარდი“.

ტურნე საზღვარგარეთ

სენეგალში, გვინეასა და მალიში დაამთავრა ტურნე რსფსრ ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. ამ ქვეყნებში მათ ხუთი შეხვედრა მოაწყეს, აქედან 4 მოიგეს, მათ შორის სენეგალისა და ბამაკოს ნაკრებ გუნდებთან. უკანასკნელი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ გვინეის ნაკრებთან და დამარცხდნენ 0:1.

სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“ განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი მატჩი სპარტაკელებს ჰქონდათ ლიბანის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდთან „ხომენმენთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0. სამი გოლის ავტორი იყო ოსიანინი, ორის — პაპაევი. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში ცენტრფორვარდად თამაშობდა გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. სიმონიანი.

მას შემდეგ, რაც ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდმა ბაღდადში ფრედ — 2:2 დამთავრა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ერაყის ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონების მუშაკთა ნაკრებ გუნდთან, მორიგი მატჩი ჰქონდა ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

კიდევ ერთი შესარჩევი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტიდან უკვე ცნობილია 14. დარჩა ორი ვაკანტური ადგილი, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ ბულგარეთის, პოლონეთის, ისრაელისა და ავსტრალიის გუნდები. დღეს ბულგარელებს მატჩი ექნებათ ლუქსემბურგის ნაკრებთან.

მორიგი შესარჩევი მატჩი შედგა ისრაელში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნისა და ავსტრალიის გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0. მეორე შეხვედრა ისრაელისა და ავსტრალიის გუნდებს შორის გაიმართება 14 დეკემბერს სიდნეიში.

ლიდერია ექს-ჩემპიონი

პალმა-დე-მალიორკის საერთაშორისო საშაფრაკო ტურნირზე გათამამდა 11 ტური. მეთერთმეტე ტურში პეტროსიანისა და კორჩნოის პარტია მეთორმეტე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. პეტროსიანს 7,5 ქულა აქვს და ერთპიროვნული ლიდერია. შვიდ-შვიდი ქულა აქვთ სპასკის, ლარსენსა და ჰორტის.

ლაკარაკობს და უჩვენებს თბილისი

რადიო

8 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — დ. ჩხეიძე. საფორტეპიანო კონცერტი, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 09.25 — მოცარტი. სონატა ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსათვის დო-მინორი და სიმღერები, 11.05 — რ. ლაღიძე. მუსიკა კინოფილმ „ხევსბერი გოჩადან“, 11.45 — მ. მაიბოროდა. ნაწყვეტები ოპერა „მილანადან“, 12.10 — ცოცლიდან „ეკონომიური რეფორმის საკითხები“. საუბარი „ფირმა სამეურნეო ანგარიშზე“, 12.25 — ს. ცინცაძე. მეორე კონცერტი ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის; ბ. კვერნაძე. საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზღაპარი დაკარგულ დროზე“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — რიმსკი-კორსაკოვი. ნაწყვეტები ოპერა „თოვლის ქალიდან“, 19.00 — მრავალეროვნული ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „მარად ცოცხალი“. საუბარი „გადასახლება ციმბირში“, 19.20 — დ. ბაშკიროვის კონცერტი, 19.45 — ს. მირიანაშვილი. სიმღერებიდ, 20.30 — შუბერტი. სიმფონია სი-მინორი, 21.00 — „ძალისპირფული“, 21.15 — ჯ. ვილიამსი. „ბურის ფასი“. მოთხრობა, 22.00 — ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების მ. ქასარაშვილის, ლ. ისაკაძისა და ე. ლეონსკაიას კონცერტი, 22.50 — რ. გლიერი. ფრაგმენტები ბალეტ „წითელი ყვავილიდან“, 23.30 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

● **კვირა, 7 დეკემბერი**

10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა“ — საინფორმაციო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „პოლკის შვილები“, 13.15 — გადაცემა ციკლიდან „მოთხრობები. ლენინზე“. სატელევიზიო თეატრი (5 დეკემბრის გადაცემის გაშეორება), 13.45 — კინოპროგრამა, 14.45 — ბ. შოუ — „პიგმალიონი“, ლენინგრადის „ლენსოვეტის“ სახელობის თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენს ოლქში“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.00 — „კინოფიფაზა“. 18.25 — გადაცემა ციკლიდან „ქართული კინოს წარსულიდან“ — თამარ ბოლქვაძე, 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ (გარდაბნის რაიონი), 20.05 — გერმანული მხატვრული ფილმი „გეროინი“, 21.30 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.00 — საესტრადო გადაცემა „ფოთოოლცვენა“.

● **ორშაბათი, 8 დეკემბერი**

11.00 — გერმანული მხატვრული ფილმი „გეროინი“, 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.35 — განცხადებები, 18.40 — გადაცემა — „სიტყვა და საქმე“, 19.10 — ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მხატვრული ფილმი „ჩვენ, რუსი ხალხი“ (II სერია), 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“, — პრემიერა, I ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 22.15 — „მმობელთა ტელეუნივერსიტეტი“, 22.35 — კინონარკვევი, 22.50 — მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-შვეიცარია. ბოლო პერიოდი (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **სამშაბათი, 9 დეკემბერი**

11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“, I ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „ლენინის ქალაქი“, 18.55 — „ჩვენი კინოდარბაზი“, „მაშენკას ქეიფი“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „ლოთბუსი“, 20.25 — „მოამბე“. — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — კინონარკვევი, 21.20 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“ — პრემიერა, II ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 22.20 — კინონარკვევი, 22.40 — „ოოგორ ვებრძოლოთ გრიპს“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“ (სპეციალური გამოშვების გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ოთხშაბათი, 10 დეკემბერი**

11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „ლომბუსი“ (9 დეკემბრის გადაცემის გამეორება), 12.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“. მეორე ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.55 — „ბაბადეული ფოტომონტაჟი“, 19.15 — კინონარკვევი. 19.25 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ — „ბიაუმჯობესოთ ჯოგის ჯიმობრივი შემადგენლობა“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“ — პრემიერა. III ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინოობიექტივი“.

● **ხუთშაბათი, 11 დეკემბერი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა „ატომის სუნთქვა“, 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ბიტლერიენტი — 70“, 20.00 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთი და კოტე“. ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ლიტერატურული გადაცემა.

● **პარასკევი, 12 დეკემბერი**

11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „იუპიტერი იცინის“. III ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — გადაცემა „ომის ფერარანთა ტრიბუნა“, 18.30 — კონცერტი ბავშვებისათვის (თელავის მუსიკალური სკოლა), 19.20 — გადაცემა „ბგერა. ხარისხი, მოგება“. 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის წინ, 20.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში. „დინამო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს და 21 საათსა და 40 წუთზე „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — გადაცემა „ქართველი კინოდოკუმენტალისტები“.

● **შაბათი, 13 დეკემბერი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი!“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „კინოპროგრამა, 12.00 — „ტელეპანორამა“, 16.30 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების ესტაფეტა (გადაცემა მინსკიდან და თბილისიდან ინტერნალური ტელევიზიისათვის), 17.30 — კინონარკვევი, 17.45 — გადაცემა ბავშვებისათვის — „თბილისის ფერიცვალების“ — რუსთაველის პროსპექტი, 18.35 — „კინოფიფაზა“, 19.05 — „მსოფლიო ქართული — შვიდფერა ყვავილი (№ 7 აბონ. დილის 11 ს., № 58 აბონ დღის 1 ს.); თოჭინების ქართული — ქალბატონელა (11 საათზე მე-8 სკოლა, 1 საათზე 132-ე სკოლა), მელაკუდა (3 საათზე ექსპერიმენტული სკოლისათვის).

ეკრანი

7 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი (27-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ოდინდელები; მოზარდ მაყურებელთა

7 დეკემბერი

ოქტომბერი საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული, ვარძია, ბათუმი — **სამართალში ვერ მიეცემა;** ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხეთი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპორტი — **აგენტი უნებლიეთ** (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), თანამგზავრი, კომკავშირელი — **დედათა მონასტერი;** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **მოტაცებული დირიჟაბლი;** ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **მოთხრობა ჩეკისტზე;** ყაზბეგი (პირველი დარბაზი), ეკრანი — **კომედიანტი** (I, II სერია); კოლმეურნე — **ძველი ნაცნობი.**

ბ. ბილანიშვილი



უეცრად გარდაიცვალა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სამხედრო კომისარი, საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი **გიორგი ივანეს-ძე ბილანიშვილი.**

გ. ბილანიშვილი დაიბადა 1916 წელს ქალაქ თბილისში მუშის ოჯახში. 1937 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი შეიარაღებული ძალების რიგებში იმყოფებოდა და განვლო გზა ეურსანტიდან პოლკოვნიკამდე.

დიდი სამამული ომის წლებში გ. ი. ბილანიშვილი მეთაურობდა ქვეგანყოფილებსა და ცალკეულ ნაწილებს, რომლებიც ჩვენს სამშობლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან იცავდნენ. სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და ბევრი მედლით, ხოლო მდინარე დნეპრის გადალახვისას ქვეგანყოფების უნარიანი ხელმძღვანელობისა და ამასთან გმირობის, გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მას მიკუთვნებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ომისშემდგომ წლებში გ. ბილანიშვილი მსახურობდა სამხედრო კომისრის თანამდებობებზე მაიაკოვსკის რაიონში, ქალაქ თბილისს ოქტომბრისა და ლენინის რაიონებში, მთელ ძალებსა და ენერგიას იხმარდა ახალგაზრდების მომზადებას საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას და არმიისა და ფლოტისათვის საბრძოლო რეზერვების შექმნას.

გ. ბილანიშვილი არაერთხელ იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და პარტიის ოქტომბრისა და ლენინის რაიონული კომიტეტების წევრად. იგი იყო პრაქტიკული მუშაობაში, გულისხმიერი ამხანაგი, რითაც მოიპოვა ყველას სიყვარული და პატივისცემა, ვინც მას იცნობდა და ვისთანაც უმუშავნია.

გ. ბილანიშვილის მთელი შეგნებული ცხოვრება მაგალითი იყო და იქნება კომუნისტური პარტიისადმი ერთგული სამსახურისა, რომლის რიგებში იგი 1942 წლიდან ირიცხებოდა.

ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის, მებრძოლი მეგობრისა და ამხანაგის გიორგი ბილანიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ქომუნისტი | თბილისი. ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03 99 03 09 ბ/მგ მდივნის — 99 72 40. ხამდივნოსი — 99 66 10. განუფილებებისა: პარტიული — 99 87 61. პროპაგანდის — 93 22 93. მრეწველობის — 93 20 34 ხოფლის მეურნეობის — 99 52 16 ხაბჭოთა მშენებლობის — 93 14 70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 93 27 58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 41 ინფორმაციის — 93 16 00 წერილების 99 73 24 ილუსტრაციის — 93 28 54 განცხადებების — 93 93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ЦЕ 11736

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.